პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 83 (3567)
28
1968 წ. აპრილი. კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

**ჩელიაბინსკი,** 26 აპრილი. თბილისის დინამოელმა ბორის პოლულიახმა მეოთხედ იზეიმა წარმატება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე აქ გამართულ შეჯიბრებაში. ტრამპლინიდან წყალში ხტომის ამ შესანიშნავმა ოსტატმა მეშვიდე ვარჯიშიდან ხელთ იგდო ლიდერობა და ფინალში მთავარი ბრძოლა მოსკოველ თანაკლუბელს ი. ფიოდოროვს გაუმართა. დღეს ეს საინტერესო „დუელი“ დამთავრდა. პრიზი მოიხვეჭა პოლულიახმა, რომელმაც 153,20 ქულა მოაგროვა.

II ადგილზეა ფიოდოროვი. III ადგილი პირველად დაიკავა ბაქოელმა არმიელმა ა. მანინმა, რომელმაც აჯობა IV ადგილზე გასულ ევროპის ჩემპიონს მ. საფონოვს (მოსკოვი).

# პოლულიახი — მეოთხედ!



სურათზე: ბორის პოლულიახის ნახტომი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მასპინძლები მზად არიან




## მეცხრე ფესტივალის დღეებში

მსოფლიოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX ფესტივალი, რომელიც წლეულს ბულგარეთში გაიმართება, ყველა ქვეყანაში უდიდეს ინტერესს იწვევს. ფესტივალის ცენტრი სოფია იქნება, მაგრამ მისი ექო ბულგარეთის სხვა დიდ ქალაქებსაც მისწვდება.

ახალგაზრდობის ამ დღესასწაულზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა სპორტულ თამაშებს, რომლის პროგრამაშიც თითქმის ყველა ოლიმპიური სახეობა შედის. შეჯიბრებებს დაესწრებიან საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლებიც. მაგალითად, კრივის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რასელმა სურვილი გამოთქვა დაესწროს მოკრივეთა ტურნირს პლოვდივში. ფესტივალის დღეებში ბულგარეთში ჩასვლას აპირებენ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი სტეიტი, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჰანდერი, ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე როდონი და სხვ.

გაიმართება ტურნირები ცურვაში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭიდაობაში, ფრენბურთში... ერთი სიტყვით, ეს თამაშები ერთგვარი რეპეტიცია იქნება მეხიკოს ოლიმპიადის წინ.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა თამაშების მონაწილე სპორტსმენთა კარგი მომსახურების მიზნით საწარმო-დაწესებულებებს სთხოვა სტუმრებისთვის შეფობის გაწევა. მძლეოსნების შეფობა „ბალკანკარმა“ ითავა, ტანმოვარჯიშეებისა — „ვიტოშმა“, მხატვრული ტანმოვარჯიშეებისა — „არომამ“ და „8 მარტმა“, ხელბურთელებისა — ლოვეჩის, მოკრივეებისა — პლოვდივის, ძალოსნებისა — ვიდინის, მოჭიდავეებისა — ხასკოვოს საწარმოებმა და სხვ.

ფესტივალში მონაწილეობის სურვილი უკვე ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა. თუ წინასწარი განაცხადების მიხედვით ვიმსჯელებთ, ყველაზე მრავალრიცხოვანი სსრ კავშირის გუნდი იქნება — 200 კაცი. საფრანგეთი ბულგარეთში 120 კაცის გაგზავნას აპირებს. დელეგაციის შემადგენლობაში იქნება ფეხბურთელთა გუნდი „სენტ-ეტიენი“, აგრეთვე, კალათბურთელთა, ხელბურთელთა, ფრენბურთელთა, მძლეოსანთა, მოჭიდავეთა, მოცურავეთა, ტანმოვარჯიშეთა, ძალოსანთა, ველოსიპედისტთა და მოკრივეთა გუნდები.

უფრო მცირერიცხოვანია ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია (91 კაცი). ამ ქვეყნის წარგზავნილთა შორისაა 12 მძლეოსანი (6 ქალი და 6 ვაჟი), 2-2 მოცურავე, 1 წყალში მხტომელი ქალი, 2-2 ჩოგბურთელი, კალათბურთელ ქალთა ნაკრები, ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი, 6 ტანმოვარჯიშე (4 ვაჟი, 2 ქალი), 6 მხატვრული ტანმოვარჯიშე, 2 ძალოსანი, თითო ჩოგბურთელი...

როგორც ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, მასპინძლები მზად არიან ძვირფასი სტუმრების მისაღებად.

◆ **პრაღა,** 27 აპრილი. ჩეხოსლოვაკიის ოთხდღიანი საერთაშორისო ველორბოლის მეორე ეტაპიც საბჭოთა სპორტსმენმა მოიგო: ფინიშთან ამჯერად პირველი იყო ესტონელი პ. იიფერტი, რომელმაც 157-კილომეტრიანი ტრასა 3 საათში, 47 წუთსა და 57 წამში (პრემიალური წუთის ჩათვლით) დაფარა. II ადგილზეა პეტერსონი (შვეცია) —3:48.17. პირველ ეტაპზე გამარჯვებულმა ვ. ჩერკასოვმა (მოსკოვი) III ადგილი დაიკავა — 3:48.37.



ორი ეტაპის ჯამში დაწინაურდა ჩერკასოვი — 6:59.44. II ადგილზეა იიფერტი — 7:00.07.

◆ **ნეაპოლი,** 27 აპრილი. აქ დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელშიც რამდენიმე ახალგაზრდა დებიუტანტია, წააგო (4:6) პირველი მატჩი ოლიმპიურ ჩემპიონებთან — უნგრელებთან. საბჭოთა წყალბურთელთაგან ბურთები გაიტანეს სკოკმა, ქმუდსკიმ, დრევალმა და კაბანოვმა. ასეთივე ანგარიშით იტალიელებმა დაამარცხეს რუმინეთის ნაკრები. ეს შეჯიბრება ევროპის კონტინენტის საუკეთესო გუნდების თავისებური დათვალიერებაა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების წინ.

# მოწინავენი და ჩამორჩენილნი




**საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, თ. ლომაია — 4,5-4,5 ქულა, ზ. მიქაძე, გ. კალატოზიშვილი — 4-4, ა. ბოკუჩავა — 3,5, თ. გიორგაძე — 3, გ. მუკნიაშვილი (გორი) — 2,5.**

გადადებული პარტიების დამთავრება. I ტურის: თ. დეკანოზიშვილი — მ. არჩვაძე (სამტრედია) 0:1, IV ტურის: ლომაია — გიორგაძე 0,5:0,5, ე. უბილავა—მუკნიაშვილი 0:1, V ტურის: მუკნიაშვილი — ბოკუჩავა 0,5:0,5, გიორგაძე — გ. მაჭავარიანი 0,5:0,5, შ. თოთლაძე (გორი) — ლომაია 0:1.

პირველობა რომ დაძაბულად წარიმართებოდა, ეჭვი არავია ეპარებოდა: 40 შეხვედრიდან ყაიმით მხოლოდ 10 პარტია დამთავრდა. ამ ყაიმებს შორის მხოლოდ თითო-ოროლაა „დიდოსტატური“, უმრავლესობა კი აზრთა ჭიდილის ლოგიკური დასასრული გახლავთ.

მონაწილენი ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთში არიან ჩემპიონობის მაძიებელნი, მეორეში — აუტსაიდერები. რა თქმა უნდა, პირველნი დიდი შემართებით თამაშობენ. მეორენი, სამწუხაროდ, დაწინაურებულებს სათანადო მეტოქეობას ვერ უწევენ. გამოდის, რომ პირველობის პრეტენდენტები აუტსაიდერებთან ქულების მოპოვებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. სწორედ ამაზე მეტყველებს ციფრები.

გურგენიძემ, ჯინჯიხაშვილმა, ლომაიამ, კალატოზიშვილმა 4-4 პარტია მოიგეს, მიქაძემ, ბოკუჩავამ — 3-3, მაშინ, როცა ა. ბრეიტმანმა, თოთლაძემ, დეკანოზიშვილმა და არჩვაძემ 4-4 შეხვედრა წააგეს, ა. წერეთელმა, ს. მეგრელიშვილმა — 3-3. აუტსაიდერებშია ოსტატი უბილავაც (4 წაგება).

არავინ იფიქროს, თითქოს ლიდერები წაგებისგან დაზღვეული არიან. ეს მათ თავადაც იციან და ამიტომ ძალას არ იშურებენ, რათა მსგავსი რამ არ მოსდეს. ცხადია, ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ. აი, მაგალითად, თამაზ გიორგაძემ ოთხი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა, მაგრამ ყველა პარტიაში შემოქმედებითად იბრძოდა, — ხან კარგი პოზიცია ჰქონდა, ხან — უარესი. მაგრამ ყოველგვარ ვითარებაში გიორგაძე მისწრაფვის საუცხოო მაგალითს გვიჩვენებდა. თამაშიც ასე უნდა!

თ. გიორგაძე.

# მოკლე ამბები

● **ლენინგრადი, 26 აპრილი.** ფიგურულ ციგურაობაში პროფკავშირთა საკავშირო პირველობაში შესანიშნავად გამოვიდნენ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები თ. მოსკვინა და ა. მიშინი, რომლებიც უძლიერესნი იყვნენ წყვილთა ასპარეზობაში.

● რომი, 26 აპრილი. ბელგიის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო მოყვარული ველოსიპედისტები მონაწილეობდნენ ჰიტლერული ფაშიზმისგან იტალიის განთავისუფლებისადმი მიძღვნილ XXIII ტრადიციულ ველორბოლაში. 170-კილომეტრიანი ტრასა გადიოდა რომსა და მის გარეუბნებში. გაიმარჯვა 23 წლის ა. როტამ, რომელიც იტალიის ეროვნულ გუნდშია ჩარიცხული მშვიდობის ველორბოლაში სასპარეზოდ. მომდევნო 8 ადგილზეც იტალიელები გავიდნენ. მხოლოდ მეათე იყო მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ურბანოვიჩი.

# იური გაგარინის ხსოვნისა

**ვლადივოსტოკი,** 27 აპრილი. პრიმორიეს მხარის „უროჟაიმ“ მოაწყო ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება იური გაგარინის ხსოვნის პრიზზე. ტურნირში მონაწილეობდნენ სოფლის რაიონების საუკეთესო კოლექტივები.

საინტერესო ასპარეზობაში ყველას აჯობეს სოფელ ჩერნიგოვკის ფეხბურთელებმა, რომელთაც დღეს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ეს საპატიო ჯილდო.

პირველი კოსმონავტის ხსოვნისადმი მიძღვნილ ამ საგაზაფხულო ტურნირს „უროჟაი“ ყოველწლიურად პირველი მაისის დღესასწაულის წინ ჩაატარებს.

## მისაბაძი თაოსნობა

**ორშა** (ვიტებსკის ოლქი), 27 აპრილი. დღეს აქ გაიხსნა ახალი დახურული საცურაო აუზი „იუნოსტი“, რომელიც საკუთარი ძალით ააგეს ქარხანა „კრასნი ბორეცის“ ჩარხმშენებლებმა. აუზს ექვსი 25-მეტრიანი ბილიკი და სახტომი კოშკი აქვს. არის საწვრთნელი დარბაზიც, სადაც მოცურავეები ცალკეულ ვარჯიშებს დაამუშავებენ. გარდა ამისა, მწვრთნელებსა და ექიმებს თავიანთი ოთახები აქვთ.

„იუნოსტი“ მეხუთე აუზია, რომელიც ორშელებმა საზოგადოებრიობის თაოსნობით ააშენეს.



## პალის წინადადებით

**ბელგრადი,** 27 აპრილი. აქ შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის — მ. ტალ (სსრ კავშირი) — ს. გლიგორიჩის (იუგოსლავია) ორთაბრძოლის მესამე პარტია. ტალმა (თეთრებით) მეტოქეს უკვე მე-13 სვლაზე შესთავაზა ყაიმი. გლიგორიჩმა წინადადება მიიღო.

3 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 2:1 გლიგორიჩის სასარგებლოდ.

# „სპორტული მამაცობის“ პირველი ლაურეატები



ლენინური კომკავშირის საპატიო ნიშანი — „სპორტული მამაცობა“ ჯილდოდ გადაეცემათ სპორტსმენებს, რომლებიც ოლიმპიადებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მაღალ ოსტატობას, ნებისყოფასა და მამაცობას გამოიჩენენ. ამ ნიშანს უკვე ჰყავს პირველი ლაურეატები. როგორც 26 აპრილს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტა ეს ჯილდო (ოქროს დაფნის რტოთი შემკული ვერცხლის ნიშანი, გამოკვეთილი დედამიწის სფეროს ფონზე) გადასცეს ჩვენს ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდს, რომელმაც რვაჯერ გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატებში: მის მწვრთნელებს — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებს ა. ჩერნიშოვსა და ა. ტარასოვს; მოთამაშეებს — ვ. ალექსანდროვს, ვ. ვიკულოვს, ვ. დავიდოვს, ო. ზაიცევს, ვ. პოლუპანოვს, ა. რაგულინს, ვ. სტარშინოვს და ა. ფირსოვს; ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონებს: ლ. ჟაბოტინსკის (ძალოსნობა), ვ. ივანოვს (აკადემიური ნიჩბოსნობა), ა. ივანიცკის (ჭიდაობა), ლ. ლატინინას (ტანვარჯიში) და ი. ნოვიკოვს (თანამედროვე ხუთჭიდი); მსოფლიოს 1966 წლის აბსოლუტურ ჩემპიონს სათხილამურო სპორტში ვ. მარტემიანოვს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭიდაობაში ა. ალიევს, მსოფლიოს ხამგზის ჩემპიონ კალათბურთელ ქალს ს. სმილძინიას, XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს — ევროპის ორგზის ჩემპიონს კრივში ვ. პოპენჩენკოს და ევროპის ჩემპიონს უროს ტყორცნაში რ. კლიმს, XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ფეხბურთში, სსრ კავშირის ნაკრების მეკარეს, რომელმაც მოიგო ევროპის თასი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები, ლ. იაშინს.

მრავალი ასპარეზობის მონაწილე ყველა ეს გმირი სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატია.

ლაურეატები საპატიო ნიშანს მიიღებენ 2 მაისს მოსკოვში, დიდ სპორტულ დღესასწაულზე, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. მათ მიესალმებიან „ტყავის ბურთის“, „ოქროს შაიბის“, „მხიარული დელფინის“ პრიზებზე გამართული საბავშვო შეჯიბრებების მონაწილენი, ახალგაზრდა ფიზკულტურელები, რომელთა სპორტულ ფორმაზეც გამოხატული იქნება 5 ოლიმპიური რგოლი წარწერებით: „1972“, „1976“, „1980“. მათ მიესალმება ყველა, ვინც იმ დღეს ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოვა. დღესასწაულზე, რომელიც დილიდან საღამომდე გასტანს სტადიონის ტერიტორიაზე, 7 ათასი სპორტსმენი გამოვა. დიდ სარბიელზე მაყურებლები ნახავენ თეატრალიზებულ სპორტულ წარმოდგენას, რომელიც მიეძღვნება კომკავშირის საქმიანობას სამოქალაქო ომის წლებიდან ვიდრე ჩვენს დღეებამდე. ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორები და გამარჯვებულები სიმბოლურ ესტაფეტას გადასცემენ XIX ოლიმპიადის კანდიდატებს, რომელთაგან საუკეთესონი აღმართავენ ალამს მოსკოვში ახალი სპორტული სეზონის გახსნის აღსანიშნავად.

განზრახულია საუკეთესო ტანმოვარჯიშეების, აკრობატების და მოფარიკავეების გამოსვლა. დღესასწაულის პროგრამაში შედის ქვეყნის ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკსა“ და დონის როსტოვის არმიელთა შორის.

• • •

სურათზე: ა. ფირსოვი.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# ელექტრონიკა და სპორტი

**16–19 აპრილს ლენინგრადში ჩატარდა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „ელექტრონიკა და სპორტი“. აპს-ის კორესპონდენტმა ა. ნეპომნიაშჩიმ ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ვ. პეტროვს სთხოვა ემბნა სპორტსმენებისა და იმ მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობაზე, რომლებიც ელექტრონიკის დარგში მუშაობენ.**

— თანამედროვე სპორტის განვითარების დონე ისეთია, — თქვა ვ. პეტროვმა, — რომ მის წინაშე მდგარი ბევრი პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ცალკეულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეუძლებელია.

ფიზკულტურელთა მრავალმილიონიან არმიას შესაბამის რეკომენდაციებს მისცემს მხოლოდ მაღალგანვითარებული მეცნიერება, რომელიც თამამ და ტექნიკურად სრულყოფილ ექსპერიმენტს ეფუძნება.

ამიტომ ჩვენს ინსტიტუტში, მაგალითად, ფიზიკური კულტურის სპეციალისტები სოლიდურ მომზადებას გადიან მათემატიკაში, მექანიკასა და ელექტრონიკაში. შექმნილია ბიომექანიკისა და სპორტული ელექტრონიკის სასწავლო ლაბორატორიები. ყოველი მომავალი სპორტსმენი ეცნობა, მაგალითად, ასეთ თემებს: „დაღლილობის და დასვენების პროცესების მათემატიკური მოდელირება“, „მათემატიკური და ელექტრონული ფუნქციონალური მოდელი ღერძზე ბრუნის ტექნიკის გამოკვლევისთვის“ და ა. შ.

საბჭოთა მწვრთნელები ფართოდ იყენებენ ელექტრონული ხელსაწყოების სრულ კომპლექტებს. შესაბამისი ბგერითი ან სინათლის სიგნალები სპორტსმენს ეხმარება სხვადასხვა ვარჯიშის ტექნიკური შესრულების სისწორის კონტროლში.

სპრინტის შესწავლისთვის საინტერესო სიახლე შემოგვთავაზა სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელსაც ჩვენი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი იონოვი ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფმა შექმნა ელექტრონული ხელსაწყოების კომპლექსი სპრინტერთა ფიზიოლოგიური და ბიომექანიკური მონაცემების შესასწავლად, რამაც წვრთნაში არსებითი კორექტივების შეტანის, ყველაზე ოპტიმალური რეჟიმის არჩევის შესაძლებლობა მოგვცა. კონფერენციაზე — „ელექტრონიკა და სპორტი“ ბევრი საინტერესო ტექნიკური სიახლის, ორიგინალური თეორიული დებულების გაცნობა შეიძლებოდა.

„სპორტსმენის თავის ტვინის ბიოელექტრული პროცესების ანალიზისთვის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენების მეთოდიკის გამო“, „რადიოელექტრონული აპარატურის აგების პრინციპები ფიზიოლოგიური პროცესების დროის რეალურ მასშტაბში გამოკვლევისთვის“, „დაკვირვების, კონტროლისა და ინფორმაციის ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი ძალოსნობაში“, „ოთხარხიანი ტენზოდინამომეტრული ელექტრონული სტენდი ტყორცნის სახეობების წარმომადგენელთა ენერგიის რეგისტრაციისთვის“, — ეს მხოლოდ მცირე ნაწილია კონფერენციაზე განხილული მოხსენებებისა, რომელთა დასახელება თავისთავად გვიქმნის წარმოდგენას სპეციალისტების მუშაობის მიმართულებაზე.

ოთხარხიან ტენზოდინამომეტრულ ელექტრონულ სტენდზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ლენინგრადის პავლოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენელი ნ. ლებედევი. ეს დანადგარი, რომელიც ფიზიკური აღზრდის კათედრაზე დაამუშავეს, გამოყენებულია მტყორცნელთა მომზადებაზე სპეციალური ჩქაროსნულ-ძალისმიერი ვარჯიშების გავლენის ექსპერიმენტული გამოკვლევისთვის. ელექტრონული სტენდი გათვალისწინებულია ვერტიკალური, გასწვრივი და განივი მოძრაობების, აგრეთვე, ვერტიკალური ღერძის გარშემო მბრუნავი მომენტის გაზომვისა და რეგისტრაციისთვის. ხელსაწყო სერიულ გამაძლიერებელ - მარეგისტრირებელ აპარატურასთან ერთად იძლევა ზემოთ მოყვანილი სიდიდეების ზუსტად გაზომვისა და ჩაწერის საშუალებას.

აი, კიდევ ერთი სიახლე: ადამიანის ძრაობითი რეაქციების შემსწავლელი დანადგარი, რომელიც 1967 წელს შექმნა ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთა ჯგუფმა. იგი განკუთვნილია პროგრამული მოწყობილობით მოცემული სიგნალების ცვლაზე გამოსაცდელთა რეაგირების თავისებურებათა გამოკვლევისთვის.

მ. კესუჯიანმა (სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი) კონფერენციის მონაწილეთ გააცნო მოფარიკავის გამძლეობისა და ჩქაროსნული თვისებების აღმრიცხველი ხელსაწყო. ხელსაწყო საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ სპორტსმენის სპეციფიკური და ჩქაროსნული გამძლეობა, ინდივიდუალური ჩქაროსნული შესაძლებლობები, ჩხვლეტის სიზუსტე მუდმივ და მოძრავ სამიზნეზე.

ყაზანის ინსტიტუტის სპორტული დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში შექმნილია დანადგარი რბენის დროის ავტომატური რეგისტრაციისთვის. ყველაზე მეტად მას, ალბათ, არბიტრები დააფასებენ. დანადგარი ერთდროულად სამი სპორტსმენის რბენის დროის ფიქსირების საშუალებას იძლევა, ამასთან, გამორიცხავს ქრონომეტრისტმსაჯების სუბიექტურ შეცდომებსა და ფალსტარტის შესაძლებლობას. დანადგარი შექმნილია ნახევარგამტარულ ელემენტებზე ბეჭდვითი მონტაჟის გამოყენებით. მისი წონა დაახლოებით 12 კგ-ია.

სპორტსმენებისთვის კიდევ ბევრი ხელსაწყო, დანადგარი, აპარატი შექმნეს მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, ვოლგოგრადის, კიევის, ლვოვის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების სპეციალისტებმა.

ელექტრონიკასთან სპორტული მეცნიერების კავშირი ფიზიკური კულტურის განვითარებას უკვე ამჟამად უწევს არსებით დახმარებას.

## გზას უჩვენებდა ენისეი

**კრასნოიარსკი,** 25 აპრილი. ს. ლეტუნოვსკაიამ, ა. ვოზნიუკმა, ი. კაშირინმა, ნ. ცარკოვმა, გ. ანციფეროვმა და ი. ვისოტინმა 50 დღეში 2 ათას კილომეტრზე მეტი გაიარეს ქალაქ იგარკიდან შუშენსკოემდე. მათ გზა ენისეის მიჰყვებოდა თითქმის უკაცრიელ, ფეხდაუდგამ ადგილებში.

ტაიგა ყინვითა და ქარიშხლით შეხვდა მოთხილამურეებს. თავიდან თოვლი ისე ღრმა იყო, რომ მარხილები მიატოვეს და ტვირთი ზურგით მიჰქონდათ. შემდეგ თოვლი გაქრა. სპორტსმენებმა თხილამურები მიატოვეს და ფეხით დაადგნენ გზას. აქა-იქ სოფლებიც ხვდებოდათ. ახალგაზრდა იგარკელები მასპინძლებს უამბობდნენ თავიანთ ქალაქზე, მის წარსულსა და მომავალზე, იმიერპოლარელთა ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

## რეკორდსმენთა დესანტი

**ტაშკენტი,** 26 აპრილი. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის პარაშუტისტებმა სხვადასხვა სიმაღლიდან დაშვების სიზუსტეში ერთ შეჯიბრებაში 17 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ამასთან, ვაჟთა ჯგუფების 11 რეკორდიდან 8 ადრე ამერიკელ სპორტსმენებს ეკუთვნოდათ.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პარაშუტისტთა ხუთეულმა მსოფლიო ჩემპიონების ო. კაზაკოვის, ვ. კრესტიანიკოვის, ვ. გურნის, ე. ტკაჩენკოს, აგრეთვე, სსრ კავშირის ჩემპიონის ა. ოსიპოვის შემადგენლობით. ისინი 600 და 1500 მეტრის სიმაღლიდან ზუსტად წრის ცენტრში დაეშვნენ. ახლა საბჭოთა სპორტსმენების რეკორდები აბსოლუტურია: მათი გაუმჯობესება აღარ შეიძლება.

ქალთა გუნდმა კაპიტნის, მსოფლიო ჩემპიონ ვ. სელივერსტოვას ხელმძღვანელობით 6 ჯგუფური მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

ეს წარმატება პარაშუტისტებმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

## ერთი გვარის ორი ჩემპიონი

**ტაშკენტი,** 27 აპრილი. დღეს აქ დამთავრდა უზბეკეთის მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები. ორივე ტურნირში გაიმარჯვა ბორისენკომ: ქალთა შორის ვალენტინამ, ვაჟებში — გიორგიმ. საერთაშორისო ოსტატმა გ. ბორისენკომ 14,5 ქულა მოაგროვა 15-დან. მან ყაიმით დაამთავრა პარტია ოსტატობის კანდიდატთან ლარისა პინჩუკთან. ოსტატმა გ. ბორისენკომაც პინჩუკთან დაამთავრა შეხვედრა ყაიმით. ეს პინჩუკი ლარისას მეუღლე სერგეი გახლავთ.

# პატარა არსენა და სხვანი

ყაზანში დამთავრდა ახალგაზრდა სამბისტთა საკავშირო პირადი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ათლეტები. ტურნირი ჩატარდა ახალი სისტემით: მოჭიდავე პირველი დამარცხებისთანავე ეთიშებოდა ასპარეზობას. ამ წესმა ბრძოლას ინტერესი და დაძაბულობა შემატა.

უმსუბუქეს წონაში ყველას აჯობა ტაშკენტელმა კლიმმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ხოსიტაშვილმა ნახევარფინალსაც ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, მძიმე წონის ათლეტთა შეჯიბრების ფინალში ორი ჩვენი თანამემამულე გავიდა: შარშანდელი ჩემპიონი ფიცხელაური და ხორბალაძე. მათთან ერთად I ადგილისთვის იბრძოდა მოსკოველი ბუტილსკი. გამარჯვების საკითხი სასწორმა გადაწყვიტა: მოსკოველი მეტოქეებზე ნაკლები წონის აღმოჩნდა და პირველობაც დაისაკუთრა, ხორბალაძეს II ადგილი ხვდა წილად, ფიცხელაურს — III.

ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონი გახდა ჯ. გუთნიაშვილი, რომელმაც ფინალში დამაჯერებლად მოუგო უკრაინელ ნიკულინს. მსუბუქ წონაშიც თავი საქართველოს გუნდის წევრმა ს. ბადალიანმა ისახელა, რომელმაც ფინალში წმინდად მოუგო მოსკოველ რასოლოვს. გუთნიაშვილიცა და ბადალიანიც ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ქვესაშუალო წონაში. აქ იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონებიცა და ევროპის პირველობის პრიზიორებიც. მით უფრო სასახელოა ჩვენი თანამემამულის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის ე. ნინიაშვილის გამარჯვება, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა, საშუალო და ქვემძიმე წონებში ჩემპიონის წოდება მოიპოვეს რიგელმა სამოილოვმა და ვილნიუსელმა კაიროსმა.

მძიმეწონოსანთა შორის თავი გამოიჩინა ახალგაზრდა საგარეჯოელმა გ. ონაშვილმა, რომელსაც შინ ხუმრობით პატარა არსენას ეძახიან (არსენა მეკოკიშვილიც ხომ საგარეჯოელია). მართალია, ონაშვილს მხოლოდ III საპრიზო ადგილი ერგო, მაგრამ მან მაყურებლებისა და სპეციალისტთა საერთო მოწონება დაიმსახურა. ამ უდავოდ ნიჭიერ ათლეტს ჩინებული ფიზიკური მონაცემები აქვს. იგი 20 წლისაა, ტანად 195 სანტიმეტრია და 107 კგ-ს იწონის. ეჭვი არ არის, რომ გულმოდგინე წვრთნის შემდეგ იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სამბისტი გახდება.

გ. მაზიაშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

# ლიტვინოვს — 10!

ჩვენი სტუმრები — ბულგარელი აკრობატები თბილისში ჩამოსვლამდე მინსკში ასპარეზობდნენ და დამარცხდნენ. საქართველოს სპორტსმენებს ისინი რევანშის წყურვილით შეებნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

პროგრამის 6 სახეობიდან ბულგარელებმა მხოლოდ ერთი მოიგეს: შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში მ. მინჩევამ და რ. ხარიზანოვმა 0,05 ქულით გაუსწრეს მასპინძლებს (ე. ნიაზაშვილმა და ვ. ვოლჩენკომ სამი ვარჯიშის ჯამში 28,45 ქულა დააგროვეს).

შეჯიბრების გვირგვინი იყო სსრ კავშირის ჩემპიონატების სამგზის პრიზიორის, სპორტის საპატიო ოსტატის ვ. ლიტვინოვის გამოსვლა ხტომაში. მან სამივეჯერ დახვეწილი ოსტატობა გამოამჟღავნა და შეჯიბრების აბსოლუტურად მაღალი შედეგი (29,5) აჩვენა. ერთ-ერთი ნახტომის შესრულებისთვის ლიტვინოვმა უმაღლესი შეფასება — 10 ქულა დაიმსახურა: სამმა მსაჯმა მისი გამოსვლა 10 ქულით შეაფასა, ერთმა — 9,9 ქულით.

ბატუტი აკრობატებისთვის ახალი ხილია და როცა გამოაცხადეს, საქართველოს გუნდის ღირსებას ნ. პოგონია დაიცავსო, დავეჭვდით. მაგრამ სარბიელზე მართლაც პოგონია გამოვიდა — რესპუბლიკური პირველობების მრავალგზის პრიზიორი წყალში ხტომაში. იგი ბატუტზეც ისევე კარგად გრძნობდა თავს, როგორც წყალში და დამსახურებულად მოიგო კიდეც შეჯიბრება — 8,9 ქულა. პოგონიას მეტოქეს ო. ვასილევს 8,6 ქულა აქვს.

გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს ტურნირის დანარჩენ სახეობებში (პირველად სტუმრებს ვასახელებთ): წყვილები. ც. პენჩევი — ი. გეორგიევი (27,9), თ. ლომთაძე — გ. გაფრინდაშვილი (28,25); ქალთა ხტომა. ა. ივანჩევა (28,1), ა. პოლოსიანი (28,5); ჯგუფური ვარჯიშები. დ. დიმიტროვი, გ. კოლევი, პ. სემენოვი, ნ. ქასანოვი (29,0), ა. სლივკოვი, თ. ხუდოევი, ა. თედეევი, ს. დელიბარდოვი (29,2).

შეჯიბრების საბოლოო შედეგია 152,8:149,9 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ა. ცეხანელი.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

# ფორმალური ფინიში

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 აპრილი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 60:73 (26:40).

„ბურევესტნიკი": გლურჯიძე (6), ლეჟავა (12), ჯულელი (5), მანაგაძე (12), ბიჭიაშვილი (11), მაისურაძე (11), მხეიძე (8), ჩხიკვაძე.

ვეფ: მეჟმალისი (2), ბოგდანოვიჩი (2), ოზერსი (15), მერკსონსი (8), კრუმინში (8), ილიჩოვი (2), დრაკე (14), გულბისი (7), იაუნზემსი (10), კაცენსი (2), ნაუჯუნსი (8).

მსაჯები: ა. ზინჩენკოვი და ლ. შაფირი (ორივე — მოსკოვი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 აპრილი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 58:70 (30:34).

„ბურევესტნიკი": გლურჯიძე (8), ლეჟავა (19), ლომაძე (18), ბიჭიაშვილი (10), ჯულელი (4), მანაგაძე (2), მხეიძე (2), ჩხიკვაძე.

ვეფ: მეჟმალისი (4), ბოგდანოვიჩი (4), ოზერსი (11), მერკსონსი (4), კრუმინში (10), დრაკე (13), გულბისი (6), იაუნზემსი (16), კაცენსი (2), ნაუჯუნსი.

მსაჯები ა. ზინჩენკოვი და ლ. შაფირი.

თბილისის „ბურევესტნიკის" ბოლო მატჩებს საკავშირო ჩემპიონატში ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. მარათონული ტურნირის ფინიშზე მებრძოლი გუნდი ერთბაშად პასიური მეთვალყურე გახდა. კარგი, რომ ბურევესტნიკელებმა დროზე დააგროვეს ქულათა ის რაოდენობა, რომელიც უმაღლეს ლიგაში გუნდის დარჩენის საკითხს უდავოს ხდის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოვალენკოს მოულოდნელი „გატაცება" საბჭოთა კავშირის ნაკრებში, შესაძლოა, გუნდისთვის დიდი უსიამოვნების მიზეზი გამხდარიყო.

მე ვნახე თბილისის „ბურევესტნიკის" მატჩები მოსკოვში გუნდთან, რომელსაც რამდენიმე კვირის წინათ ჩემპიონობის ყველაზე ნაღდ კანდიდატად მიიჩნევდნენ. მართალია, ცსკა-მ ორივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ვერ დავეთანხმები „სოვეტსკი სპორტის" მიმომხილველს ა. პინჩუკს, რომელიც ცდილობდა არმიელთა უფერული თამაში მეტოქის სისუსტით აეხსნა. მე კი მგონია, რომ თბილისელებმა ითამაშეს თავგანწირულად, მონდომებით და, შესაძლოა, სასურველ შედეგამდე დააკლდათ... სწორედ კოვალენკოს უყოლობა.

ეს ფაქტი იმიტომ კი არ მოვიყვანე, რომ უკვე დამთავრებულ ბრძოლაში მუშტების ქნევით გავამართლო ბურევესტნიკელთა წარუმატებლობა ბოლო მატჩებში. თბილისელებმა სამართლიანად დაიმსახურეს ის, რისთვისაც 5 თვის მანძილზე იბრძოდნენ და არა მგონია ვინმემ წარუმატებლობად მიიჩნიოს, რომ ჩვენს რესპუბლიკას საკალათბურთო იერარქიაში პირველი და მეათე საფეხური უკავია. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩემპიონატის მიწურულში „ბურევესტნიკი" დაიჩაგრა ისე, როგორც არც ერთი სხვა გუნდი.

თუ რა მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა კოლექტივისთვის კოვალენკოს, ეს ერთხელ კიდევ ცხადყო ვეფ-თან შეხვედრებმა. როგორც პირველ, ისე მეორე მატჩში მასპინძლებს კოვალენკოს სახით აკლდათ სიმაღლე, ანუ ფაქტორი, რომელზეც ვეფ-მა განსაკუთრებული მახვილი დასვა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რიველებს შემადგენლობაში ჰყავთ კრუმინში და დრაკე, ცხადი გახდება, თუ რატომ იყვნენ მასპინძლები განწირული ჯერ კიდევ მატჩების დაწყებამდე.

„ბურევესტნიკმა" ჩემპიონატი დაამთავრა, მაგრამ საზრუნავი მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს. ეს, პირველ ყოვლისა, სიმაღლისა და „გრძელი სკამის" პრობლემაა, ურომლისოდაც თანამედროვე კალათბურთში დიდ წარმატებაზე ფიქრი უაზრობაა.

ნ. ბუგუშვილი.

## • გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 42 | 30 | 12 | 3118—2910 | 30 |
| ასკ (კიევი) | 44 | 29 | 15 | 3028—2839 | 29 |
| ცსკა | 44 | 28 | 16 | 2936—2762 | 28 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 44 | 26 | 18 | 3165—3103 | 26 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 44 | 25 | 19 | 2889—2814 | 25 |
| „კალევი" (ტარტუ) | 44 | 23 | 21 | 2884—2803 | 23 |
| ვეფ (რიგა) | 44 | 23 | 21 | 3128—3053 | 23 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 40 | 19 | 21 | 2751—2744 | 19 |
| ასკ (რიგა) | 42 | 19 | 23 | 3065—3064 | 19 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 44 | 19 | 25 | 2833—2836 | 19 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 44 | 10 | 34 | 3026—3390 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 44 | 9 | 35 | 3280—3767 | 9 |

# 50 ერთმაგი გასროლითაც...

ოდესა, 25 აპრილი (ჩვენი კორ.). საქართველოს სპორტსმენებმა ტყვიის მსროლელთა საკავშირო შეჯიბრების კიდევ ორ ვარჯიშში მოიპოვეს საპრიზო ადგილები: მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში თბილისის დინამოელმა ს. ზასკომ 560 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა. პირველობა წილად ხვდა თ. კომაროსტოვას (რსფსრ) — 565. მას 3 ქულით ჩამორჩა მოსკოველი რ. კოსარევა.

ამ დღეს ვაჟებიც ამავე იარაღიდან სტანდარტზე (3×40) ასპარეზობდნენ. ყველას აჯობა ი. კუდრიაშოვმა (მოსკოვი) — 1144 ქულა. მაგრამ ძლიერი ქარის გამო შემთხვევითობის ფაქტორი რომ გაებათილებინათ, მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა ეს ვარჯიში მეორე დღესაც გაემართა და გამარჯვებული ორი ვარჯიშის ჯამით დაედგინა. კუდრიაშოვმა მეორე დღესაც იმარჯვა, თანაც, ლიდერთაგან იგი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც წინადღის მაჩვენებელი გააუმჯობესა, ამჯერად 1145 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ 2289 ქულით მოიპოვა პირველობა.

II ადგილზე გავიდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი გ. კორნევი (1143+1138=2281), III — ბელორუსიელი, სსრ კავშირის რეკორდსმენი ვ. პარხიმოვიჩი (1139+1138=2277).

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 19 წლის გ. თავდიდიშვილმა შარშან ერევანში გამართულ ტურნირში „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლით 232 ქულა მოაგროვა, საქართველოს რეკორდი დაამყარა და საერთაშორისო სპორტის ოსტატობაც მოიპოვა. მაშინ მის ამ წარმატებას ბევრი შემთხვევითობით ხსნიდა. თავდიდიშვილი კი გულმოდგინედ ვარჯიშობდა და მან აქაც დაადასტურა, რომ იგი დიდად ნიჭიერი მსროლელია. თავდიდიშვილმა ამჯერად 50 ერთმაგი გასროლით 232 ქულა მოაგროვა, რაც მისსავე რესპუბლიკურ რეკორდზე 5 ქულით უკეთესია და მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება საერთაშორისო ოსტატის ნორმატივს. თბილისელმა სტუდენტმა ოდესაში ამ ვარჯიშში II ადგილი ისე დაისაკუთრა, რომ ბევრ ფავორიტს გაასწრო. მას მხოლოდ ვ. პოსტოიანოვმა (რსფსრ) აჯობა — 239 ქულა.

ვ. მარჩუკოვი.

# დაუმარცხებლად

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დამთავრდა ქალთა საქალაქო ჩემპიონატი. I ადგილი მოიპოვეს უნივერსიტეტის კალათბურთელებმა, რომელთაც გადამწყვეტი მატჩი მოუგეს უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებს — 45:28. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონმა (მწვრთნელი გ. ჩახავა) მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა.

მომდევნო ორი პრიზიორის გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „უშბისა" და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების ორთაბრძოლას. თუ სტუდენტები გაიმარჯვებდნენ, „უშბას", ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კოლექტივებს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდებოდათ და ადგილებიც გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით განაწილდებოდა, II საპრიზო ადგილზე გავიდოდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელები, რომლებსაც სხვაობა უკეთესი ჰქონდათ. როგორც ჩანს, ამან გარკვეული დაღი დაასვა მატჩის მსვლელობას. 40 წუთის მანძილზე ძნელი გამოსაცნობი იყო, ვის დარჩებოდა გამარჯვება. ბოლოსდაბოლოს დაძაბული ბრძოლა მოიგო „უშბის" (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. მესხი) კოლექტივმა — 42:39.

III ადგილი და საქართველოს ჩემპიონატის ბოლო საგზური წილად ხვდათ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (მწვრთნელი კ. ბეთანელი) კალათბურთელებს.

მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს ფიზკულტურის ინსტიტუტის, „შრომითი რეზერვებისა" და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივებმა.

ვაჟთა ჩემპიონატმა მხოლოდ ეკვატორი გადალახა. ლიდერთა მდგომარეობა კვლავ უცვლელია. სანუკვარი სამეულისკენ დამაჯერებლად მიიწევს სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც ბოლო ორ ტურში კიდევ 2 გამარჯვება მოიპოვა: V ტურში დაამარცხა „ცისარტყელა" (61:56), ხოლო VI ტურში — პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (50:41).

ორი ნაბიჯით წაიწიეს წინ უნივერსიტეტის კალათბურთელებმაც, რომლებმაც იოლად დაამარცხეს „დინამო" (63:38) და დაძაბულ ბრძოლაში — „მეტრომშენი" (82:71).

მკითხველებს შევახსენებთ, რომ „მეტრომშენი" ამ ჩემპიონატში ერთადერთი საწარმოო კოლექტივია (მწვრთნელი რ. მესხიშვილი). სხვათა შორის, მეტროს მშენებლებმა ტურნირი უხეიროდ დაიწყეს და ზედიზედ ორი მარცხი იწვნიეს. შემდგომ გუნდმა საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა და ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა. „მეტრომშენს" პრიზიორთა სამეულში მოხვედრის ყველა შესაძლებლობა აქვს. 3-3 ქულით ასეთივე შანს ინარჩუნებენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „ცისარტყელას" კალათბურთელები.

ჩემპიონატს ლიდერობენ სამედიცინო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები, რომლებსაც 5-5 გამარჯვება აქვთ (უნივერსიტეტის კალათბურთელებმა ერთი თამაშით მეტი ჩაატარეს).

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

უცხოეთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

### გფრ

ეროვნული ჩემპიონატის XXX ტური აღინიშნა „ფკ ნიურნბერგის" მორიგი გამარჯვებით („დუისბურგთან" — 4:1), რომელიც ახლა ჩემპიონობის საუკეთესო შანსს ინარჩუნებს. თასის მფლობელმა „ბაიერნმა" წააგო „შტუტგარტთან" — 0:3.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი) — „ბორუსია" (ნოიენკირჰენი) 4:2, „მიუნჰენ 1860" — „კარლსრუე" 3:0, „ფკ კიოლნი" — „აინტრახტი" (ფრანკფურტი) 5:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ფკ ნიურნბერგი" | 30 | 65:33 | 41 |
| „ბორუსია" (მენჰენ.) | 30 | 73:42 | 37 |
| „ვერდერი" (ბრემენი) | 30 | 59:46 | 36 |

### პორტუგალია

აქ ლიდერი შეიცვალა. „ბენფიკამ" კოიმბრაში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „აკადემიკასთან" (1:1), ხოლო მისმა ყველაზე სახიფათო მეტოქემ — ლისაბონის „სპორტინგმა" შინ მოუგო „ბარეირენსეს" (3:0) და ლიდერობა დაისაკუთრა.

დანარჩენი შედეგებია: „ფკ პორტუ" — „ვიტორია" (გიმარაისი) 3:1, კუფ — „ბელენენსესი" 0:0, „სპორტინგი" (ბრაგა) — „ვარზიმი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპორტინგი" | 23 | 48:18 | 37 |
| „ბენფიკა" (ლისაბ.) | 23 | 65:18 | 36 |
| „ფკ პორტუ" | 23 | 52:21 | 31 |

### ინგლისი

„ლიდს იუნაიტედს" ერთი თამაშით ნაკლები ჰქონდა ჩატარებული „მანჩესტერ იუნაიტედთან" შედარებით და „სტოკ-სიტისთან" მოგების შემთხვევაში ლიდერობას (შეიძლება ჩემპიონობასაც!) დაისაკუთრებდა. მაგრამ „სტოკ-სიტიმ", რომელსაც II ლიგაში გადასვლა ემუქრება, სძლია „ლიდს იუნაიტედს" — 3:2.

ჩემპიონატის დამთავრებამდე მხოლოდ 3 ტური დარჩა, ლიდერთა სამეული კი ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტ". | 39 | 79:47 | 54 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 39 | 67:32 | 53 |
| „მანჩესტერ-სიტი" | 38 | 76:39 | 50 |

### შოტლანდია

პირველობის გათამაშებაში ჯერ „სელტიკი" ლიდერობდა, შემდეგ კი მის ადგილზე დიდი ხნით დამკვიდრდა „გლაზგო რეინჯერსი". ზოლოსწინა, 33-ე ტურში I ლიგის ახალბედამ „მორტონმა" აართვა ქულა „გლაზგო რეინჯერსს" (3:3) და „სელტიკმა" ჩემპიონობის შანსები დაიბრუნა. ბოლო ტურის წინ ორივე გუნდს 61-61 ქულა აქვს.

### პოლონეთი

ზაბჟეს „გურნიკმა" წლეულს ბევრი ევროპელი სპეციალისტი აალაპარაკა, ქვეყნის ჩემპიონატში კი ჩემპიონის საკადრისად ვერ გამოდის. იგი ლიდერს — ხოჟუვის „რუხს" 5 ქულით ჩამორჩება.

### ჩეხოსლოვაკია

ქვეყნის ჩემპიონი — პრაღის „სპარტა" მხოლოდ X ადგილზეა, სამაგიეროდ, თასის მფლობელის — ტრნავას „სპარტაკის" საქმეები შესანიშნავად მიდის. ეს გუნდი ლიდერია ჩემპიონატში.

### ესპანეთი

გროსოსა და ველასკესის გოლებმა „ლას-პალმასთან" შეხვედრაში (2:1) მადრიდის „რეალს" ჩემპიონის ტიტული მეცამეტედ მოუტანა. ამრიგად, ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე „რეალმა" მოიპოვა უძლიერესის სახელი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 28 | 54:24 | 41 |
| „ფკ ბარსელონა" | 28 | 46:27 | 37 |
| „ვალენსია" | 27 | 46:32 | 32 |

### ავსტრია

ქვეყნის ჩემპიონმა და გათამაშების ლიდერმა — ვენის „რაპიდმა" შინ მოუგო „გრაცერ აკ"-ს (3:1), ხოლო თასის მფლობელმა — ვენის „ავსტრიამ" წააგო „ვიენასთან" — 1:3.

### ბელგია

ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტური დარჩა და ჩემპიონობის მოპოვების ყველაზე დიდი შანსები ბრიუსელის „ანდერლეხტს" აქვს, რომელმაც მორიგ ტურში ფრედ ითამაშა „რესინგ ვიტთან" — 1:1. ლიეჟის „სტანდარდმა" მოუგო „დარინგს" — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 26 | 61:21 | 41 |
| „ფკ ბრიუჟი" | 26 | 46:19 | 37 |
| „სტანდარდი" | 26 | 48:29 | 35 |

# პელე: 401 გოლი!

რიო-დე-ჟანეირო, 26 აპრილი. ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატებში გატანილი გოლების აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი დაამყარა სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა პელემ, რომლის სრული სახელია ედსონ არანტეს დე ნასიმენტო. სან-პაულუს პირველობის მორიგ კალენდარულ მატჩში მან — „სანტოსის" თავდამსხმელმა „იუვენტუსის" კარში 2 ბურთი გაიტანა — მეოთხე ასეული „დახურა" და მეხუთე დაიწყო.

საერთოდ კი, სხვადასხვა შეჯიბრებაში პელეს 900-მდე გოლი აქვს გატანილი.

# ბრიტანული გუნდების ჰეგემონია

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველმა ნახევარფინალურმა მატჩმა ცხადყო, რომ ინგლისის ჩემპიონის „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობის ოპტიმიზმი საფუძველს არ არის მოკლებული. მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ მანჩესტერელებმა საუკეთესოდ ითამაშეს. მართალია, ინგლისელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, მაგრამ „რეალი" ძელმა (ოთხჯერ) და მეკარე ბეტანკორის ბრწყინვალე თამაშმა გადაარჩინა დიდი ანგარიშით წაგებას. ცნობილი ბრიტანელი კომენტატორი ბ. სონდერსი აღნიშნავს: „უკვე დროა „მანჩესტერ იუნაიტედმა" მოიპოვოს საპატიო პრიზი. „რეალთან" ჩატარებული ბრწყინვალე მატჩის შემდეგ, ვიმედოვნებ, ეს ასეც მოხდება".

მაგრამ ესპანეთის პრესა აღნიშნავს, რომ „რეალს" დისკვალიფიკაციის გამო აკლდა უძლიერესი თავდამსხმელი ამანსიო და, გარდა ამისა, გუნდმა რისკზე ხელი აიღო და მთელი ყურადღება დაცვაზე გაამახვილა. საპასუხო მატჩში ესპანელები, რა თქმა უნდა, მოგებაზე ითამაშებენ, თუმცა ბრიტანელი კომენტატორები იმედოვნებენ, რომ „რეალში" ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია (სუნსუნეგი, ლუისი, პერესი, გონსალესი), რომლებსაც არ ძალუძთ ბესტის, ლოუსა და ბ. ჩარლტონის გუნდის დამარცხება.

ევროპის სპორტული პრესა ბევრს წერს უელსის „კარდიფ-სიტის" წარმატებაზე ჰამბურგში. ფრე „ჰამბურგერ შფ"-სთან კარდიფელთათვის მართლაც წარმატებაა. „კარდიფ-სიტი" მეკარე ვილსონს უნდა უმადლოდეს, რომელმაც ბევრი უძნელესი ბურთი მოიგერია. თუ „კარდიფ-სიტიმ", რომელიც ამჟამად ინგლისის II ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია, შეძლო შინ მოგება და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში მოხვედრა, ეს მართლაც სენსაცია იქნება. მაგრამ „ჰამბურგერ შფ"-ს საუკეთესო მოთამაშეები (ზეელერი და შულცი) ალბათ ითამაშებენ კარდიფში, ეს კი „კარდიფ-სიტის" კარგს არაფერს უქადის.

(საქ. ინფ.).

FOTBAL • CALCIO • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS • NOGOMET



# ს ა ს წ ა უ ლ ი

ჩემმა ცოლმა ცუცუნამ ერთ წელიწადში 62 კგ მოიმატა და ზემძიმე წონის ძალოსანს დაემგვანა.

რადიკალურ ზომებს ადრევე მივმართე. სამსახურში ორჯერ ავიღე უხელფასო შვებულება და ხან ცუცუნა დამყავდა ექიმებთან, ხან ექიმები ცუცუნასთან. ექიმები ათასნაირ რჩევა-დარიგებას იძლეოდნენ, ცუცუნას კი საშველი არ დაადგა: ერთ წელიწადში ისე გამოიცვალა, ძველი მეგობრებიც ვეღარ ცნობდნენ...

ბოლოს ერთმა ექიმმა ჩემს ცოლს ურჩია, სპორტის რომელიმე სახეობას მიმართეო. მცირე თათბირის შემდეგ არჩევანი ცხენოსნობაზე შევაჩერეთ. ჯერ ერთი, იპოდრომთან ახლოს ვცხოვრობდით, მეორე, — ბიცოლაჩემი იპოდრომზე მოლარედ მუშაობდა და დაგვეხმარებოდა, დაბოლოს, — მსუქანი ჟოკეი არასოდეს მინახავს-მეთქი, — ვუთხარი ცოლს.

ბიცოლამ დახმარება აღმითქვა. მალე სამსახურიდან ექვსთვიან მივლინებაში გამგზავნეს. ვფიქრობდი, რომ დავბრუნდები, ყველაფერი რიგზე დამხვდება-მეთქი. შევთანხმდით, წერილებში არც გვეხსენებინა ცუცუნას წონა. ექვსი თვის მანძილზე ჩემს ცოლს ერთხელაც არ დაურღვევია ჩვენი შეთანხმება. მივლინებაც ამოიწურა.

... სადგურის ბაქანზე რომ ჩამოვდგი ფეხი, გულმა ბაგა-ბუგს უმატა. შინ მისვლამდე ვერ მოვითმინე, ტელეფონ-ავტომატს ვეძგერე და ბიცოლას დავურეკე. ყურმილი აიღო თუ არა, სულმოუთქმელად მივახალე:

— დაიკლო?

— დაიკლო რომელია, ცარიელი ძვალი და ტყავია.

— სასწაული მოგიხდენია, ბიცოლა, ჯადოქარი ხარ, ჯადოქარი! — შევყვირე აღტაცებულმა.

— სასწაული მე კი არა, შენმა [illegible], — მიპასუხა, გენაცვალე, — ნაღვლიანი ხმით მიპასუხა ბიცოლამ.

— რა იყო, ბიცოლა, ცუდ ხასიათზე ხარ?

— კაი ხასიათზე რა დამაყენებს, სამსახური მიმატოვებინეს და ვარ გაჭირვებული.

— რატომ, ბიცოლა?

— აბა, დოლის ცხენის მოკვლას ვინ მაპატიებდა, შვილო.

— ცხენს რაღა დაემართა? — ვკითხე გაოცებულმა.

— აკი გითხარი, ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩა-მეთქი.

**გ. ბიგაური.**

## საფეხბურთო ნაკვესები

◆ მსაჯის გაფრთხილების მიუხედავად, მოთამაშე გაუფრთხილებლად თამაშობდა.

◆ გუნდი ყრუ იყო მაყურებლის პროტესტის მიმართ, რადგან ყრუ დაცვაზე გახლდათ გადასული.

◆ მსაჯს მუდამ თავისი გაჰქონდა და გუნდს გოლი ვერ გაჰქონდა.

**ა. თავაძე.**





ბოლო ფოტოსურათმა („ლელო“, № 19) მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში ასორმოცდაათამდე წერილი შემოვიდა, მაგრამ ჩვენი მოწონება დაიმსახურა ერთადერთმა პასუხმა: „თავს ზემოთ ძალა არ არის“.

ამ წარწერას რამდენიმე თანაავტორი გამოუჩნდა. ესენი არიან: გ. ბაქრაძე, ლ. დარციმელია, კ. კალანდაძე, ნ. მუჯირი (ყველა — თბილისი), ზ. ანდრიაძე (კულაში), ნ. გვიმრაძე (გორი), ო. თორთლაძე (ონი), ფ. ფურელიანი (ლენტეხის რაიონი).

ფოტოკლუბის ოსტატთა ახალ ნამუშევარს თქვენ ხედავთ ქვემო სურათზე. ველით თქვენს პასუხებს.





გერმან დროზბიზი

# კარიერა

ჩვენ სულ რვანი ვართ. მე ჰაშ ორი მქვია. მწკრივში ბოლო ვარ. შეიძლება პირველიც, — გააჩნია როგორ გაითვლი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს პირველი ვარ თუ ბოლო? სულ ერთია, პაიკი ვარ, საჭადრაკო შერკინების საბრძოლო ერთეული. როგორც პოეტმა თქვა, ერთეული არარაობაა. ჩვენ ისე გვექცევიან, როგორც მოეპრიანებათ. ფიგურებს დიდხანს ატრიალებენ თითებში, თან პაპიროსის კვამლში გახვეულები ოხრავენ, ფიქრობენ, ტვინს იჭყლეტენ... ჩვენ კი დაუფიქრებლად გვაწოწიალებენ. როგორ მძულს ეს თეთრი ძვალი, ეს ამპარტავანი კუ, ნაპატივები მხედრები, ეს ჩლუნგი, მთელ ველზე შემტევი ეტლები. ლაზიერი?! ფორმალურად, მეფის შემდეგ იგი ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს, სინამდვილეში კი დიდი გაქანების ჩვეულებრივი ბანდიტია. მთავარი დიაგონალიდან ა ერთი და ჰაშ რვა. ის ყველას ურტყამს, მას კი არავინ. პიროვნების უფლებების რომელ პატივისცემაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ სიტუაციაში?

უმეტესად ჩვენგან შეუსრულებელს მოითხოვენ. ინებეთ მაგალითი: მე მაიძულებენ თავს დავესხა კუს. ეს ხომ სისულელეა! ის სულ ერთია, განზე გადგება, თავს არ გამიყადრებს ასეთ პაწაწკინტელას... დახე, განზე არ გადგა. სულელი! ვიღებ კუს. არ მინდა, მაგრამ ვიღებ. ახლა მხედარი დამარტყამს. ვხედავ, მიბღვერს. არა, ვერ მოიფიქრა. ესეც მხედარია რაღა! მე მეჩქარება და წინ მივიწევ: ე-ე-ე, ფრთხილად, ჩაგავლებენ! მომიჩინეთ ვინმე დამცველი, თუნდ მეზობელი ეფ პაიკი იყოს, ოღონდ ჩქარა! აი, ასე! ახლა მშვიდად ვარ... მხედარმა უკან დაბრუნება მოისაზრა და მე და ეფ-ი მიზანში ამოგვიღო. საინტერესოა, ვის გაიმეტებენ, მე თუ ეფ-ს? მე წინ გამწიეს. ნახვამდის, მეზობელო... უი, დედა, სად მიგყავართ, ეტლის ქვეშ?! მადლობა ღმერთს, გვერდზე ჩამიარა. ყეყეჩი! შემდეგი სვლით ნაღდად ამიყვანენ... ამასობაში ერთი უჯრით კიდევ წინ გამწიეს. ახლა კი ამ შავ, სამგლოვიარო ოთხკუთხედზე ანდერძს ამიგებენ... არა, გადავრჩი! ჩვენი მოწინაამდეგე სუსტად თამაშობს! საუცხოოა! მე ხელში ამიყვანეს და უკანასკნელი ნაბიჯის გადასადგომად, უფრო სწორედ, ნახტომისთვის მომამზადეს. და ჰორიზონტალური ხაზის კიდეში გავჩნდი.

გამიგონეთ, ჩემს თავს რაღაც ამბავია. მე ვიზრდები და მერე როგორ, არაჩვეულებრივ ძალასა და სიმხნევეს ვგრძნობ. სიმღერის გუნებაზე ვდგები. იყვირე, უბრძანე, დასაჯე! ერთი ვინმესთვის წიხლი ამომარტყმევინა, მამაჩემის მამასთან რომ გავგზავნო!!!

ახალი სიმაღლიდან დაფა სულ სხვანაირი ჩანს, ასე ვთქვათ, პერსპექტივაში. ჩვენი და მეტოქის ფიგურები ჩემს დაბლა დგანან. პაიკებზე ლაპარაკიც არ მსურს, ისინი სადღაც ქვევით არიან. ნება მიბოძეთ, მე ხომ ლაზიერი ვარ, ნამდვილი ლაზიერი! ოჰო, დამსახურებული გარდაქცევაა!... ახლა კი სიტუაციებში გავერკვეთ. მაშასადამე, ესენი ჩვენები არიან. აგერ, კუ, რა მოუქნელია! ეტლი, მეფე, ჩემი მეფე. სალამი მბრძანებელს! ეს ვინღაა? მეფე? ვისი? იმათი? ქიში, ბატონო ჩემო! კიდევ ქიში. რით იცავთ თავს? აჰა, პაიკებით? ჩვენ კი მათ მოვსპობთ!.. ჩუმად, რა გაწრუწუნებთ, ხმა გაიკმინდეთ. რომ ვიღებ, ესე იგი, საჭიროა. როცა მეც თქვენნაირი ვიყავი, ისე გვსპობდნენ, რომ არაფერს გვეკითხებოდნენ. გაიგეთ? შამათი!

თარგმნა **ვახტანგ ულენტმა.**





## „სიცილის სააგენტოს“ ბიულეტენი № 5

◆

### მამაცი მოკრივე

ბეტონის ქარხნის მუშას, სპორტის ოსტატს, მოკრივე გულადაშვილს სრულიადაც არ შეშინებია ორი შეიარაღებული ბანდიტისა, რომლებიც თავს დაესხნენ მოქალაქე გ. ქ-შვილს და ცემა დაუწყეს. საზარელი მოქმედების დანახვაზე მამაც მოკრივეს მუხლებიც არ აცახცახებია, უდიდესი მოთმინება და თავშეკავება გამოიჩინა და საკუთარი სახლის სადარბაზოდან ფეხი არ მოუცვლია. როცა საბრალო მსხვერპლი ძირს უგონოდ დაეცა და ბანდიტები მიიმალნენ, გულადაშვილს მოთმინების ფიალა აევსო. იგი სადარბაზოდან გამოვარდა, დაზარალებულს ჯერ პირველი დახმარება გაუწია, შემდეგ სასწრაფო დახმარებას გამოუძახა.

ბეტონის ქარხნის ადმინისტრაციამ კეთილშობილური საქციელისთვის გულადი მოკრივე საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

### სამართლიანი სასჯელი

ფეხბურთის სენი — დროის გაყვანის ტაქტიკა — ჭადრაკსაც გადაედო. შამათავასა და ქიშაძის მატჩის 39-ე პარტიაში ამ უკანასკნელმა ულამაზო საქციელი ჩაიდინა. როცა პარტიის გადადებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა, ორმხრივ ცხარე ცაიტნოტში ქიშაძემ დროის გაყვანის არადელიკატურ ხერხს მიმართა და საწადელსაც მალე მიაღწია: დროს გადააცილა. მეტოქისადმი არაკეთილსინდისიერი მოპყრობისთვის ქიშაძე სამართლიანად დაისაჯა: მსაჯთა კოლეგიამ მას წაგება ჩაუთვალა.

სხვათა შორის

### ტალს ჰგავხართ!

ერთხელ ბაქოში, სადაც სსრ კავშირის პირველობა ტარდებოდა, დიდოსტატი მ. ტალი სანაპიროზე სეირნობდა.

— ბოდიში ახალგაზრდავ, თქვენ ძალიან ჰგავხართ ტალს! — გააჩერა იგი ვიღაცამ.

— დიახ, ამას ხშირად მეუბნებიან! — დაეთანხმა დიდოსტატი და გზა განაგრძო.

რედაქტორი **მ. კაკაბაძე.**






**კრივი.** ცირკი. დღეს: საქართველოს პირადი პირველობა. დასაწყისი 19 ს.

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. 28-30 აპრილი. როსტოვის, სტავროპოლის, კრასნოდარის, ერევნისა და თბილისის ქალთა და გოგონათა გუნდების საქალაქთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასზე“. დასაწყისი: 28 და 30 აპრილს — 12 ს., 29-ში — 16 ს.

**ფეხბურთი.** ასკ-ს სტადიონი (შაუმიანის ქ. № 57). საქართველოს პირველობა. დღეს: ასკ (თბილისი) — „ერო“ (გალი). დასაწყისი 17 ს.


# მხიარული ფანქრით



— თუ ძმა ხარ, კიდევ შორსაა? დავიღალე...

(საფრანგეთი).



— მიბრძანდით! მე ქალს მუდამ გზას ვუთმობ... ნახ. კ. პატიაშვილისა.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03219